სახელმწიფო ქონების
**ეროვნული სააგენტო**

**NATIONAL AGENCY**
OF STATE PROPERTY

# საააგენტოს კომპეტენცია და საქმიანობის მიმართულებები

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო წარმოადგენს ყველა ტიპის (უძრავი/მოძრავი) სახელმწიფო ქონების განმკარგველ ორგანოს.

## სააგენტოს საქმიანობა მოიცავს 5 ძირითად მიმართულებას:

- სახელმწიფო უძრავი/მოძრავი ქონების მართვა;
- სახელმწიფო უძრავი/მოძრავი ქონების განკარგვა;
- სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოთა მართვა;
- მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაცია, ექსპერტიზა-უტილიზაცია;
- დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების განკარგვის ხელშეწყობა, ვებ-გვერდის www.eAuction.ge და ინტერნეტ მაღაზიის საშუალებით.

# Main Directions of the Agency

The National Agency of State Property is the governing body of all types of (immovable / movable) state property

## Main operational fields of the organization include 5 basic directions:

- Management of state immovable / movable property;
- Disposal of state immovable / movable property;
- Management of state-owned enterprises;
- Management of the issues related to the registration and expertise-utilization of strict accounting forms;
- Promotion the management of the property for interested individuals and legal entities through the website www.eAuction.ge and the online store.

## სააგენტოს სერვისები და პროცედურები, შესაძენი ქონების სახეები

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მეშვეობით შესაძლებელია სხვადასხვა სახის ქონების შეძენა:

- უძრავი ქონება (სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, შენობა/ნაგებობები);
- მოძრავი ქონება (სატრანსპორტო საშუალებები; ელექტრო ტექნიკა და ინვენტარი; საიუველირო ნაკეთობები, ავეჯი, საკვები პროდუქტები და ა.შ)
- საწარმოს წილი ან/და აქციები.

ქონების შეძენით დაინტერესებულმა პირმა უნდა გაიროს შემდეგი პროცედურები:

- სახელმწიფო ქონების შეძენით დაინტერესებულმა პირმა უნდა შეარჩიოს სასურველი სახელმწიფო ქონება და განცხადებით მიმართოს სააგენტოს (ელექტრონული ფოსტა info@nasp.gov.ge);
- ვებ-გვერდ www.eAuction.ge-ზე განთავსებული ქონების შესაძენად, დაინტერესებულმა პირმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია ვებ-გვერდზე და მიიღოს მონაწილეობა შესაბამის ელექტრონულ აუქციონში;
- სახელმწიფო ქონების შეძენით დაინტერესებულ რეზიდენტ/არარეზიდენტ პირს შესაძლებლობა აქვს ვებგვერდ eAuction.ge-ზე გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობა მიიღოს მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, ვებგვერდისა და მობილური აპლიკაციის მეშვეობით.

## Agency services and procedures, types of property to be purchased

The National Agency of State Property provides various category of property:

- Real estate (agricultural and non-agricultural land plots, buildings/structures);
- Movable property (vehicles, electrical equipment, jewelry, furniture, food product, etc.);
- Shares of the enterprise.

The person interested in purchasing the property must go through the following procedures:

- Interested individuals should select the state property to be acquired and then apply to the Agency (e-mail info@nasp.gov.ge).
- To purchase the property posted on the website www.eAuction.ge, the interested individuals must register on the website and then participate in the relevant electronic auction.
- Resident/non-resident interested in buying the state property has the opportunity to participate in the electronic auction announced on the website eAuction.ge from anywhere in the world, via the web and mobile app.

## საააგენტოს სერვისები

ქონების ეროვნული სააგენტო სახელმწიფო ქონებით დაინტერესებულ პირებს სთავაზობს შემდეგ სერვისებს:

- ცხელი ხაზის მომსახურება;
- ონლაინ კონსულტაცია;
- ქ. თბილისსა და რეგიონებში მომსახურების ცენტრები;
- საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სავაჭრო სივრცე.

პანდემიის პირობებში, სააგენტომ წარმატებით უზრუნველყო სერვისების დისტანციურად მიწოდება უწყვეტ რეჟიმში

## Agency Services

The National Agency of State Property offers the following services to those interested in state property:

- Hotline services;
- Online consultation;
- Service centers in Tbilisi and regions;
- Commercial space equipped with the necessary inventory.

In the face of the pandemic, the agency has successfully secured remote delivery of services continuously.

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲓᲣᲠᲐ

## ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ:

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე www.nasp.gov.ge მოცემულია დეტალური ინფორმაცია სააგენტოს სერვისების შესახებ.
შესაბამის მოდულში „განაცხადის ფორმები“ განთავსებულია თითოეული სერვისისთვის წინასწარ შემუშავებული მომართვის ფორმა.

## ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲓᲣᲠᲐ

დაინტერესების შემთხვევაში პირმა უნდა განახორციელოს შესაბამისი ფორმის ჩამოტვირთვა, შევსება და სააგენტოს ელექტრონულ ფოსტაზე info@nasp.gov.ge გაგზავნა. განაცხადს თანდართული უნდა ჰქონდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაცია.

შენიშვნა: დეტალური ინფორმაცია განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციის შესახებ განთავსებულია ვებ-გვერდზე nasp.gov.ge;
დეტალური ინფორმაცია ვებ-გვერდზე www.eAuction.ge რეგისტრაციის, ასევე ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის წესებისა და პროცედურების შესახებ განთავსებულია ვებ-გვერდზე www.eauction.ge.

# Procedure for submitting the application

## Application forms:

The website of the National Agency of State Property www.nasp.gov.ge provides detailed information about the services of the Agency.

The relevant field "Application Forms" contains a pre-designed application form for each service.

## Application submission procedure

In case of interest, the person should download the appropriate form, fill it out, and send it to the agency's e-mail info@nasp.gov.ge. The application must go along with the relevant documentation required by law.

Note: Detailed information on the documentation attached to the application is available on the website nasp.gov.ge;
Detailed information on registration on the website www.eAuction.ge, as well as the rules and procedures for participation in the electronic auction is available on the website www.eauction.ge.

100 საინვესტიციო შეთავაზება არის საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს პროექტი, რომელიც აერთიანებს საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა დარგებისთვის საინვესტიციოდ მიმზიდველ ობიექტებს. პროექტში მონაწილეებს სახელმწიფო სთავაზობს გამარტივებულ პროცედურებს, რაც გულისხმობს წინასწარ მომზადებულ საინვესტიციო პაკეტებს. პროექტის განხორციელება წარმატებით მიმდინარეობს, რის შედეგადაც ქვეყანაში იქმნება სამუშაო ადგილები და ხორციელდება ინვესტიციები.

100 Investment Offers is a Project Implemented by National Agency of State Property of Georgia. The Project Brings Together Attractive Real Estate for Different fields Nationwide. The Government Offers to the Participants Facilitated Procedures, which Mean Pre-Prepared Investment Packages. The Project is Successfully Undergoing, What Reflects in new Workplaces created and new Investments Attracted.



Investment offers for business

100 საინვესტიციო

შეთავაზება ბიზნესს

## აღმაშენებლის ქუჩა №144 / №144 Agmashenbeli street



‹ 4 of 6 ›

საკადასტრო კოდი / Cadastral Number

51.01.61.040; 51.01.61.053; 51.01.61.426; 51.01.61.423

ფართობი / Land Area - 40 554 კვ.მ /sq.m

100 საინვესტიციო შეთავაზების ერთ - ერთ საინტერესო ლოტს წარმოადგენს ქალაქ გურჯაანში განთავსებული ორი ქონება.

One of the Interesting Lots Among 100 Investment Offers is a State Property Located in Town Gurjaani.

Investment offers for business

100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს

## კოსტავას ქუჩა,I შესახვევი №4 / № 4, Turn I, Kostava street



‹ 2 of 2

საკადასტრო კოდი / Cadastral Number

51.01.57.432

ფართობი / Land Area - 9 277 კვ.მ /sq.m

სამთავრობო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ აერთიანებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს სამ კომპონენტს: ადგილობრივ წარმოებას, ექსპორტსა და ინვესტიციებს. პროექტის უმთავრესი მიზანია სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება და ხსენებულ სფეროებში მოღვაწე პირების ხელშეწყობა.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო აღნიშნული პროგრამის ფარგლებში პასუხისმგებელია ფიზიკური ინფრასტრუქტურის გადაცემის კომპონენტზე, რაც გულისხმობს სახელმწიფო მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად მეწარმისთვის გარკვეული საინვესტიციო ვალდებულებით.

The Governmental Program "Enterprise Georgia" Brings Together Three Necessary Components, for the Economic Development of Our Country: Domestic Industries, Export and Investments. The Primal Aim of the Program is to Promote Entrepreneurial Culture in Georgia and Assist People Involved in the Above Mentioned fields.

Within the framework of this Program the LEPL National Agency of State Property is in charge of Physical Infrastructure Transfer Component as transferring of government owned real property to an entrepreneur under certain investment obligation at a symbolic price.

**ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ** - პროექტი ახდენს მეწარმის მხარდაჭერას, მის მიერ წამოწყებული საწარმოს შექმნასა ან განვითარებაში.

**ᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ** - პროექტის მიზანია ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდა, საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება, როგორც საექსპორტო პროდუქციის ასევე ექსპორტიორების ზრდა და განვითარება და მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდა საერთაშორისო ბაზრებზე.

**ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ** - პროგრამის მიზანია საქართველოში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზრდა, იგი წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს უცხოელ ინვესტორებსა და საქართველოს მთავრობას შორის.

**DOMESTIC INDUSTRIES** – The Program Implements Measures to Assist Georgian Entrepreneurs in Creation or Development of their Undertakings.

**EXPORT** – The Aim of the Program is to Increase Export Potential of Our Country. Diversification of the Export Markets and Development of Export Products and Georgian Exporters as well to Increase their Competitiveness on Foreign Markets.

**INVESTMENTS** – The Program Aims to Increase Number of FDI’s in Georgia and Serves as a Mediator between Foreign Investors and Georgian Government.

# პროგრამაში მონაწილეობა

მეწარმე სუბიექტს, რომელიც დაინტერესებულია პროგრამაში მონაწილეობით შეუძლია უძრავი ქონების საკუთრებაში მიღება სიმბოლურ ფასად, 1 ლარად, იმ შემთხვევაში:

- თუ ქონების გადაცემიდან 2 წლის განმავლობაში მოახდენს წინასწარ განსაზღვრული პროფილის საწარმოს შექმნას და ექსპლუატაციაში მიღებას.
- ინვესტირებული თანხის მოცულობა დღგ-ს გარეშე შეადგენს გადასაცემი ქონების ღირებულების ოთხმაგ(თბილისის შემთხვევაში ექვსმაგ) ოდენობას.
- წარმოადგენს ინვესტიციის მოცულობის 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობ საბანკო გარანტიას, რომელიც უნდა მოქმედებდეს განცხადების წარდგენიდან არანაკლებ 30 თვის განმავლობაში.

*** რამდენიმე მეწარმის მხრიდან ნუსხაში განთავსებულ ერთსა და იმავე ქონებაზე დაინტერესების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება მას ვინც პირველი წარმოადგენს საბანკო გარანტიას

# Participation in Program

A Business Entity Which is Interested in a Program to obtain “1 GEL” property must:

- Establish a factory and start operation within 2 yarest periods from property transfer
- Invest 400%(600% in case if real estate is situated in Tbilisi) of property price, excluding VAT
- Provides an Unconditional and Irrevocable Bank Guarantee in 10% of the Investment amount valid for at Least 30 Months Upon Its Submission.

*** If There are Several Interests on the same Real Estate, Advantage Will Be Given To The Business Entity Being First to Submit the Bank Guarantee to the National Agency Of State Property.